

საქართველოს პარლამენტი და მოქალაქეთა ჩართულობა  
გადაწყვეტილების მიღების პროცესში

სალომე ელერდაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის  
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი, 2016

## განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

*სალომე ელერდაშვილი*

*27.06.2016.*

## შ ი ნ ა ა რ ს ი

|                                                                          |    |
|--------------------------------------------------------------------------|----|
| ანოტაცია .....                                                           | 4  |
| შესავალი .....                                                           | 6  |
| 1. საქართველოს პარლამენტის სტრუქტურა.....                                | 9  |
| 1.1. კომიტეტების საკანონმდებლო საქმიანობა და ძირითადი კონტროლი .....     | 9  |
| 2. მოქალაქეთა ჩართულობა პარლამენტის კანონშემოქმედებით პროცესში.....      | 12 |
| 2.1. საქართველოს პარლამენტი ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში..... | 16 |
| 3. საზოგადოების აქტიურობა საპარლამენტო კომიტეტების სასესიო პროცესში..... | 30 |
| 3.1. კვლევის პროცესი .....                                               | 30 |
| 3.2. მეორად მონაცემთა ანალიზის შედეგები.....                             | 34 |
| 3.3. ახალგაზრდების მონაწილეობა საკომიტეტო საქმიანობაში .....             | 45 |
| 4. დ ა ს კ ვ ნ ა.....                                                    | 46 |
| ბიბლიოგრაფია.....                                                        | 50 |
| დანართები .....                                                          | 53 |
| ცხრილები .....                                                           | 60 |
| დიაგრამები.....                                                          | 60 |

## ანოტაცია

სამაგისტროს ნაშრომი ეხება საზოგადოების აქტიურობას, საქართველოს საპარლამენტო კომიტეტების საკანონმდებლო საქმიანობის სფეროში. ნაშრომში განხილულია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დონის განმსაზღვრელი მიზეზები და ფაქტორები.

პირველ თავში საუბარია ზოგადად საქართველოს პარლამენტის სტრუქტურასა და საკომიტეტო საქმიანობის შესახებ. მოკლედ არის განხილული საქართველოს კონსტიტუცია და პარლამენტის რეგლამენტის მე-5 თავი, რომელიც განსაზღვრავს კომიტეტების უფლებამოსილებათა განხორციელების წესსა და პროცედურებს.

მეორე თავი ეხება, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობას საპარლამენტო საქმიანობაში. დეტალურადაა აღწერილი საქართველოს პარლამენტის „ღია მმართველობის პარტნიორობასთან“ თანამშრომლობის ეტაპები, რომელიც საქართველოში ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას აღნიშნული მიმართულებით.

მესამე თავი მოიცავს კვლევის პროცესის აღწერას. განხილულია საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია, საქართველოს პარლამენტის ბიუროს სახელზე შემოსული საკანონმდებლო წინადადებებისა და საქართველოს პარლამენტში არანაკლებ 30 000 ამომრჩევლის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტების შესახებ. ასევე, ამ თავში მოცემულია ახალგაზრდების ჩართულობის დონე პარლამენტის საქმიანობაში.

დასკვნის სახით თემაში წარმოდგენილია, მესამე თავში განხილული მეორად მონაცემთა ანალიზის შედეგები. დასკვნაში ხაზია გასმული იმ ფაქტზე, რომ საქართველოს პარლამენტმა უფრო აქტიურად უნდა ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოებასთან.

## **Annotation**

Master's thesis deals with involvement of civil society in Georgian parliamentary committees' legislative activities. The causes and factors for determination citizens' and civic associations' participation levels are discussed in this article.

The first chapter provides theoretical basis for structure of Georgian parliament and for committees' activities. Briefly is discussed the Georgian Constitution and the fifth chapter of Rules of Procedure of Parliament, which defines the rules and procedures for authority of committees.

The second chapter reviews the importance of the social participation in parliament's decision-making in Democratic states. In this chapter is given detailed description of cooperation stages with "Open Government Partnership". This partnership in Georgia promotes citizens involvement in this cause.

The third chapter contains a description of the research process. Public information provided by the Parliaments Bureau is discussed. This public information contains Legislative proposals addressed to the Parliaments Bureau and Legislative initiative bills submitted to the Parliament by at least 30 000 voters. Additionally, this chapter provides the level of youth participation in the parliamentary activities.

In conclusion, the last chapter includes the suggestions, which are made as a result of a secondary analysis of data. The conclusion underlines the fact that the Parliament should cooperate more actively with civil society.